„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი ● №11-12 (9459-60) ● 1-30 ივნისი ● 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

საბავშვო ბაღ „ოცნებაში“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება

პროექტის „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის“ ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბალათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილეს მამუკა ცოტნიაშვილს, საერთაშორისო ორგანიზაცია ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) წარმომადგენლებს, დასავლეთ საქართველოს სამხარეო მენეჯერს მზევი ჯოჯუას შეხვდნენ. პროექტი, რომელსაც გერმანიის მთავრობა აფინანსებს და ლტოლვილთა დანიის საბჭო ახორციელებს, დევნილების გრძელვადიანი განსახლებისთვის, ეკონომიკური, სოციალური და საგანმანათლებლო ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვან აქტივობებს ითვალისწინებს. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაზე საუბარი საერთაშორისო ორგანიზაციისა და მუნიციპალიტეტის მომავალ თანამშრომლობას და ერთობლივად განსახორციელებელ უმნიშვნელოვანეს პროექტებს შეეხო, რომლის ფარგლებშიც, უახლოეს პერიოდში საბავშვო ბაღში „ოცნება“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება და მალე პატარები თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში აღიზრდებიან. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და შპს „გასკო+“-ის მენეჯერ დიმიტრი პაჭკორიასთან ერთად სამხედრო დასახლებაში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობას შეხვდა და მათთვის აქტუალურ საკითხებზე - გაზიფიკაციის, სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, ყოფით პრობლემებზე – ესაუბრა.

ბავშვების შექმნილი ზღაპრული სამყარო სენაკში

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სენაკის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების აღსაზრდელების ნამუშევრების გამოფენით დაიწყო. შთამბეჭდავი იყო იმ დღის უსაყვარლესი გმირების საზეიმო მსვლელობა წითელ ხალიჩაზე. პატარებისადმი მიძღვნილი დღესასწაული სენაკში მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში გამართული გალა-კონცერტით დასრულდა. საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისა და პედაგოგების მონაწილეობით გამართულ ღონისძიებას, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიისა და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ცენტრის ერთობლივი პროექტია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბალათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი ალექსანდრე ჟანჟღავა, ადგილობრივი თვითმმართველობის, სკოლამდელი სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა გახსნა. სხდომას მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბალათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მოწვევით - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის წარმომადგენლობის დირექტორი ლევან ოყრეშიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა მოისმინეს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნატალია ხუბუას ანგარიში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების პროცედურების კუთხით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების, ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მნიშვნელობისა და მერიის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამების შესახებ. განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის უფროსმა გივი მისაბიშვილმა სათათბიროს წევრებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალის მაკეტი წარუდგინა. სხდომაზე განხილულ იქნა მემორიალის ადგილმდებარეობის საკითხი. საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის დირექტორმა ბადრი მამულიამ ცენტრის მიერ მუნიციპალიტეტში დასუფთავებისა და გამწვანების კუთხით ჩატარებული, მერიის მიერ შეძენილი სპეც.ტექნიკის (გრეიდერის) მეშვეობით განხორციელებელი, გარე განათების ახალი ქსელების მოწყობის სამუშაოების, ასევე, დაგეგმილი პროექტების შესახებ ისაუბრა. მერმა დამსწრეთ მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო. სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები. შეხვედრის დასასრულს, ლევან კუპრეიშვილმა სათათბირო ორგანოს წევრებს, რომელთა საქმიანობის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, მათი ინტერესების წარმოდგენა და დაცვა, მერსა და მოსახლეობას შორის მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფა, სამოქალაქო აქტიურობისთვის მადლობა გადაუხადა.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ეკო-კლუბის ორგანიზებით, დასუფთავების აქცია მოეწყო, რომელშიც სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და ეკო-კლუბის წევრებთან ერთად ჩაერთო.

პოლიეთილენის პარკებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავდა მეგრული ოდისა და რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიები. აქციის მიზანი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდაა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში

ქართული ქორეოგრაფიის დღესასწაული

(დასასრული)

ქალაქ სენაკში, ცენტრალურ მოედანზე, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის სენაკის ორგანიზაციის თაოსნობით - ხელმძღვანელი ზვიად გვასალია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მხარდაჭერით, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის ოქროს ხანის მოცეკვავის, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, სენაკის საპატიო მოქალაქის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ფესტივალ–კონკურსი ,,კუჩხიბედინერი – 2019" გაიმართა. წელს ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ფოთის, მარტვილის, ხობისა და სენაკის საბავშვო ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, საიუბილეო თარიღი აქვს, ის მეხუთედ ჩატარდა და შალვა (ჯამუ) გარუჩავას დაბადებიდან 90 წლის იუბილეს მიეძღვნა.,,კუჩხიბედინერი 2019-ს" , რომელიც საზეიმო მსვლელობით დაიწყო, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საინტერესო და სანახაობრივად მრავალფეროვანი ფესტივალ-კონკურსის კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ - ჟიურის თავმჯდომარე: საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ,,ღირსების მედლისა" და ,,ღირსების ორდენის" კავალერი, ,,ქართული კულტურის ამაგდარი"-ს, ,,საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენისა" და ,,რაინდის ორდენის" მფლობელი, მსოფლიო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რეზო ჭანიშვილი; საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის ოქროს თაობის მოცეკვავე, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, შალვა (ჯამუ) გარუჩავა; საქართველოს ბავშვთა ქორეოგრაფიული ხელოვნების ფესტივალ-კონკურსების ორგანიზაცია ,,იმედის" დირექტორი, პრესტიჟული და მასშტაბური ფესტივალ-კონკურსის - ლეგენდარული სუხიშვილების სახელობის ცეკვის საერთაშორისო კონკურსის ხელმძღვანელი, ღირსების ორდენის კავალერი ნუნუ შათირიშვილი; ისრაელში, ქალაქ ბერშევას მერიასთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,შალვას" სამხატვრო ხელმძღვანელი, წლების მანძილზე ჩვენს ქალაქში მოღვაწე ქორეოგრაფის, შალვა ეფრემაშვილის ვაჟი, ორი ერის - ქართველთა და ებრაელთა ღირსეული შვილი, რომელიც დღეს, ისრაელში, ქართული ცეკვის ფენომენის პოპულარიზაციას ემსახურება - დავით ეფრემაშვილი, -,,კუჩხიბედინერი 2019-ის" გრან-პრის მფლობელი მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,კოლხიდა" (სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა ბართია) გახდა. ფესტივალ კონკურსის საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: პირველი ადგილი წილად ხვდა ჯანო ბაგრატიონის სახელობის ფოთის ქორეოგრაფიულ ანსამბლს ,,ლაზიკა" (სამხატვრო ხელმძღვანელი გიგლა თურქია), მეორე ადგილი - აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების განვითარების ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს ,,ანანური" (სამხატვრო ხელმძღვანელი ელისო გაბელაია), მესამე ადგილი - სენაკის მუნიციპალიტეტის თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის მეშვიდე საჯარო სკოლასთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს ,,ოცნება" (ქორეოგრაფი ჯამბულ ქარდავა). ქართული ცეკვის ტრადიციული დღესასწაული სენაკში, რომლის მასშტაბი ყოველწლიურად იზრდება და ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას ემსახურება, მონაწილეებსა და გულშემტკივრებს 2020 წლამდე დაემშვიდობა.

მუნიციპალიტეტის მერიის
საზოგადოებასთან
ურთიერთობის და ინფორმაციული
უზრუნველყოფის განყოფილება

[illegible]

საქართველოს სახელი ქვეყნების ფარგლებს გარეთ არაერთ წარმატებულ და ნიჭიერ ახალგაზრდას გააქვს. ლიკა ფაჩულიას ნიჭიერებაზე და გამორჩეულობაზე მეტყველებს დიპლომები და სერთიფიკატები სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებისათვის.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია წარმატებებს უსურვებს ლიკას და მკითხველს თავაზობს მის ნამუშევარს.

* * *

ლიკა ნიკოლოზის ასული ფაჩულია *დაიბადა 1995 წ. სურწყუნისის (თებერვლის) 1-ს ქალაქ სენაკში, ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში. სწავლობდა თბილისის №55, №116 და ჟიული შარტავას სახელობის ქ. სენაკის №2 საჯარო სკოლებში. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. ამთავრებს ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურას. იმსახურა ბიზნესის პროფილით სხვადასხვა ინსტაციაში. მონაწილეობდა საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციების ტრენინგებში.*

ამჟამად ISIE-GEORGIA-ს ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლის ლიტერატურული ესეების კონკურსის 1 პრემიის ლაურეატია. მიენიჭა: AIT-ის 50% პრემია და სტენფორდის აკადემიაში სწავლების 50 % პრემია.

[illegible]

ხანდახან მგონია, რომ ვიკარგები შენს სამყაროში, ვიკარგები იმ სამყაროში, რომელშიც შენ არ ხარ. მშთანთქავს მასში შენი არსებობის კვალი: ყოველი ნაფეხური თავისკენ მიხმობს, მაგრამ ეს მხოლოდ აჩრდილია, დარჩენილი შენგან. მიუხედავად ყველაფრისა, მზერა მაინც შენს ლანდს ეძებს, ყოველ კუნჭულს ათვალიერებს, თუმცა იცის, რომ შენ, დიდიხანია ეს ყველაფერი გაიარე, იცის, ახლა ძალიან შორს ხარ ჩემგან. იმდენად შორს, რომ ჩვენი სიშორე საუკუნეების ასწლოვანებას უტოლდება. ჩემსა და შენს შორის მუდმივად სამყაროა.

ხანდახან მგონია, რომ შენს ზურგს ვხედავ, ვხედავ მას, ვგრძნობ შენს ამოსუნთქვას, რომელიც არასოდეს შემიგრძვნია. ვგრძნობ შენს სურნელს, რომელიც მაბრუებს, მითრევს უფსკრულისკენ, რომელიც იმდენად ღრმა და გულის დამწყვეტია, მეტი რომ არ შეიძლება. ყოველი შეგრძნება ბედისაგან გამოგზავნილ მათრახს ჰგავს, რომელიც დაუნდობლად სცემს ჩემს სულს, გულს, რომელსაც შენი ხმა ჩაესმის.

ხანდახან ვფიქრობ, რომ არასოდეს მოიხედები უკან და ვერასოდეს მნახავ, როგორ მოგყვები უკან...

მგონია, რომ რომც დაგიძახო, ხმამაღლა გიყვირო, მაინც ვერ გაიგებ ჩემს ხმას.

ჩვენს შორის სიშორეა, რომელიც ათას ღამეს მოიცავს, ღამეს, რომელსაც უსასრულობა ასაზრდოებს.

ეს სამყარო იმდენად დიდია იმისათვის, რომ მხოლოდ უკან გდიო, რომ მარტო ვიდგე ტრიალ მინდორზე.

მიუხედავად ყველაფრისა, ხანდახან ვფიქრობ და, იქნებ ეს მე კია არა – შენ მომყვები უკან, მე კი ყოველთვის ვუხვევ იქ, სადაც არ უნდა გადავუხვიო. ყოველთვის გვერდს გივლი და ვერ გამჩნევ.

და თუ ასეა, იმედია ოდესმე ერთმანეთს პირისპირ შევხვდებით. თამამად დაგიძახებ და შენს რეალურ ხმას გავიგებ, რომელიც ჩემს სახელს იძახდეს იქნება. ვიგრძნობ შენს სუნთქვას, მკლავებს, გულს, რომელიც გამალებით სცემდეს იქნება და რომელიც მხოლოდ მე მეკუთვნოდეს იქნება.

იმედია გამიღიმებ და მეტყვი, რომ მე შენი სამყარო ვარ... რომ ის მზე ვარ, რომელიც მუდამ შენთვის ანათებდეს იქნება. ის ვარ, რაც ამ სამყაროში გაკავებს... რადგანაც ჩემთვის ჯაჭვი ხარ, რომელიც ამ სამყაროში მაკავებს, მთავრე ხარ, რომელიც ღამეებსაც კი მითბობს, რადგან ჩემი განთიადი ხარ წყვდიადით მოცულ სამყაროში...

ლიკა ფაჩულია

ნოდარ ჯალაღონია _ 85

„ვეფერე და ვესათუთე საქართველოს ყველა კუთხეს“



ბიოგრაფიული შტრიხები

ცნობილ პოეტს და პუბლიცისტს, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს ნოდარ ჯალაღონიას 85 წელი შეუსრულდებოდა.

იგი დაიბადა 1934 წლის 16 ივნისს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში. შემდეგ ჯალაღონიების ოჯახი საცხოვრებლად სენაკში გადმოვიდა. მამა, დომენტი ჯალაღონია, სენაკის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში მუშაობდა, დედა დიასახლისი გახლდათ. ნოდარის ორი უფროსი ძმა ჰყავდა. ნოდარ ჯალაღონიამ დაამთავრა სენაკის № 1 საშუალო სკოლა. შემდეგ იგი ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 1960 წელს, ხოლო 1969 წელს მოსკოვის მაქსიმ გორკის უმაღლესი ლიტერატურული კურსები.

მუშაობდა ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეცნიერ-მუშაკად, 1964 წელს იყო საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის კორესპონდენტი; 1969 წელს დაინიშნა საქართველოს ტელევიზიის სამეცნიერო-მეთოდური რედაქციის უფროს რედაქტორად; 1971-1974წწ. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის უფროს რედაქტორად, 1974-1993წწ. - საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო ფილმების სტუდიის რედაქტორად, შემდგომ სატელევიზიო ფილმების სარედაქციო კოლეგიის წევრად, სულ ტელევიზიაში იმუშავა 30 წელი. გარდა გადაცემების რედაქტორობისა, მისი ავტორობით მომზადდა და გადაიცა ასობით სატელევიზიო ნარკვევი, რეპორტაჟი, ინტერვიუ, სიუჟეტი. არის სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი, რამდენიმე სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის რედაქტორი. 1998-2001წწ. ხარისხის მართვის თბილისის ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს ჟურნალისტიკასა და ქართულ ლიტერატურაში; ლექსების პირველი კრებული,-,სიმღერების გაზაფხული” გამოსცა 1959 წელს. აღსანიშნავია მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი პუბლიცისტური წერილი(ნარკვევი, სტატია, რეცენზია).

მკითხველის მოწონებას იმსახურებს მისი ლექსების 28-ვე კრებული, რომელთაგან რამოდენიმეს გამოვყოფთ: „სიმაღლე“, „ხმა“, „ლექსები“, „ყვავილების მიწა”, ”კამერტონი“, „გზები და დღეები“, „თიბათვე“, „მსაჯული დრო და წლებია“, „ძველი კოლხური ჰანგები”, „წლები, წლები”, „რწმენის ორდენის კავალერი”, „გზები და დღეები“, „ქალი, რომელიც გიყვარს”, „უნდა ჰგავდეს სიცოცხლეს-სამშობლოსათვის სიკვდილი“ და სხვა.

მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, ოსურ ენებზე და თავადაც ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. აქტიურად თანამშრომლობდა ბეჭდურ მედიასთან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი პირველი ლექსი ჩვენს რაიონულ გაზეთში „ავანგარდი” (1951 წელს) დაიბეჭდა. ამის შემდეგ სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ლექსები, როგორც რაიონულ ისე რესპუბლიკურ პრესაში.

ნოდარ ჯალაღონიამ დაარსა და მისივე რედაქტორობით გამოდიოდა 1996-97 წ.წ. გაზეთი „ლაშარის გორი”.

ნოდარ ჯალაღონია იყო ქალაქ სენაკისა და ჩხოროწყუს საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მრავალი ჯილდოსა და სიგელის მფლობელი. 1979 წელს მიღებული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია. იგი როგორც საქართველოს ღირსეული პოეტი და პიროვნება შეტანილია „ქართულ ენციკლოპედიაში”.

გარდაიცვალა 2018 წელს, დაკრძალულია ქ. თბილისში.

პოეტს მთელი ცხოვრების მანძილზე გვერდით ედგა და შემოქმედებით საქმიანობას უადვილებდა მეუღლე ქალბატონი მანანა შალიკიანი. ქალბატონი მანანა შალიკიანი –ჯალაღონია დღესაც ყველაფერს აკეთებს მეუღლის ხსოვნის უკვდავსაყოფად და ნოდარ ჯალაღონიას შემოქმედების პოპულარიზაციისათვის.

ფოტომატიანე

ვ.დავითაია, ნ. ჯალაღონია. 2004 წ.

ნ.ჯალაღონია კ.შარტავასთან და ლ. ნანეიშვილთან თბილისობა. 1981 წ.

ამონარიდები ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან

ქართულ სამწერლო ოჯახს გამოაკლდა შესანიშნავი შემოქმედი, ერისკაცი, რომელსაც ჰქონდა სრულიად გასიგრძეგანებული, რომ ამქვეყნად სამშობლო ყველაზე დიდი ჭეშმარიტებაა და უბადრუკია ყველა, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, რომ სამშობლოსთვის ღირს სიცოცხლეცა და წვაც. ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ სამშობლოს გადასარჩენად გამართულ ომებში შეიძლება დამარცხდე, დაიღუპო კიდეც, მაგრამ მორალურად გაიმარჯვო. „გამარჯვებული სულები კი ქვეყანას რჩება ხატებად”.

ნოდარ ჯალაღონიას ლექსები შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. შეიყვარა იმიტომ, რომ ეს ლექსები ბედისწერასთან, განგებასთან მარად მებრძოლი ერის ერთი ღირსეული შვილის სულიერ ღაღადისს წარმოადგენს, იმიტომაც, რომ მათში ქართველობის მრავალსაუკუნოვან კვნესასა და ვაებასთან დაკრისტალიზებულია ვაჟკაცური სული და შემართება, ქედუხრელობა და შეუპოვრობა.

ნოდარ ჯალაღონიას პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ, სომხურ, რუსულ და ოსურ ენებზე.

თავადაც ჩინებული მთარგმნელი იყო.

ნოდარ ჯალაღონიას კალამს ეკუთვნის მრავალი მხატვრული ნარკვევი, დოკუმენტური ფილმების სცენარები, ლიტერატურული წერილები და რეცენზიები, უაღრესად საინტერესო პუბლისცისტური სტატიების კრებული-„სინჯარის პოლიტიკოსები”.

ურყევად სწამდა და სჯეროდა, რომ მის ერს გადაშენება და იავარქმნა არ უწერია. სწამდა, რომ ქართველები თავიანთი ჯიშითა და ჯილაგით, რწმენით და ფიქრებით, „მარავალჟამიერით” და „ოდოიათი”, ვეფხისა და მოყმის ბალადით, „ვეფხისტყაოსნით” მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია.

სწორედ ასეთი ნოდარ ჯალაღონია ემახსოვრებათ ქართველ მწერლებს-მშვენიერი შემოქმედი და მოქალაქე.

საქართველოს მწერალთა კავშირი
„მწერლის გაზეთი", № 7, 2018 წ.

* * *

ნოდარ ჯალაღონია ეკუთვნის იმ შემოქმედთა რიცხვს, რომლებიც საუცხოო პოეტური ნიჭის გარდა სამაგალითო მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩევა. ნოდარ ჯალაღონიასათვის ყოველგვარ რეგალიებსა და „ზემოდან” ნაბოძებ პატივზე ბევრად მნიშვნელოვანი თავის მკითხველთა, საკუთარ ხალხთან და სამშობლოსთან დგომა და მოქმედება იყო: განსაკუთრებით თავდადებული და შეუპოვარი ხდებოდა იმ დროს, როცა ქვეყანას ძალიან უჭირდა და მამაც შვილთა თანადგომა სჭირდებოდა. ასე იყო 9 აპრილის სისხლიან ღამეს. ასე იყო მას შემდეგაც, როცა რუსეთის იმპერიამ და გამყიდველმა ქართველებმა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მთელი ეროვნული ხელისუფლება ქვეყნიდან გააძევეს, ნოდარ ჯალაღონიამ ლექსებთან ერთად პუბლიცისტური კალამიც მიმართა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. მისმა გაზეთმა-„ლაშარის გორი” მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ჟურნალისტიკაში.

* * *

იშვიათია პოეტი, რომელსაც ესოდენ მრავალკეცი ვარიაციებით წარმოედგინოს პატრიოტიკა, რაც გულისხმობს არა ხოტბას, არამედ დაკვირვებას, აქცენტების გადანაწილებას, ფიქრსა და განსჯას, აზრის დრამატულ განვითარებას.

დიდ და გამარჯვებულ ქვეყანას არ სჭირდება პოეტი-ჯარისკაცი, პოეტი-მემატიანე. მაგრამ სხვა არის იმ ქვეყნის ბედი და მდგომარეობა, რომელიც იბრძვის თავისი მიწის გამოსასხსნელად და დასაუფლებლად, თავისი ადგილის დასამკვიდრებლად.

სწორედ სამშობლოს ბედი აძლევს პოეტს დაუძლეველ სტიმულს, ზოგჯერ ეჭვიც გაკრავს, მაგრამ ეს ყველა იმ შემოქმედის თვისებაა, რომელიც არ აპირებს მიღწეულით ტკბობას, რომელსაც სწამს, რომ კიდევ დარჩა სათქმელი.

ნოდარ ჯალაღონია ყოველთვის იყო აზრის პოეტი, რომელიც ამოდის კონკრეტული ფაქტიდან, ფაქტის განსჯიდან, მისი მოულოდნელი რაკურსით ჩვენებიდან..

იგი ფიქრობს და არ თამაშობს.

9 აპრილის ტრაგედიამ შეცვალა ხალხის ცნობიერება, შეიცვალნენ მწერლებიც, ზოგი სასიკეთოდ, ზოგი სულაც დადუმდა ან გადაგვარდა.

ნოდარ ჯალაღონია გახდა ახალი მოძრაობის პოეტი-ტრიბუნი. მან თავის შემოქმედებაში გააერთიანა პოეტი და პუბლიცისტი (არ იქნება ზედმეტი ვთქვა, რომ ჩვენ ერთად ვიყავით გროზნოში ზვიად გამსახურდიას დაკრძალვაზე).

პოეტი ვერ გადაურჩა შეურაცხყოფას, დამცირებას, დაპატიმრებას. იგი მაინც სიმართლის მესაყვირედ დარჩა. კვლავაც წერდა მამხილებელ ლექსებს, გამოდიოდა მიტინგებზე და შეკრებებზე, დადიოდა საქართველოს ქალაქებში და სოფლებში, რათა ხალხისათვის ხმა მიეწვდინა, დაბნეული გამოეფხიზლებინა, გულგატეხილი გაემხნევებინა.

სოსო სიგუა,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, მეცნიერ-მკვლევარი.
კრიტიკოსი. „მუხადწყაროს განდეგილი”-
ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, ქ. გორი.
№18, 2013 წ.

* * *

ნოდარ ჯალაღონია ეკუთვნის იმ შემოქმედთა რიცხვს, რომლებიც საუცხოო პოეტური ნიჭის გარდა სამაგალითო მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩევა. ნოდარ ჯალაღონიასათვის ყოველგვარ რეგალიებსა და „ზემოდან” ნაბოძებ პატივზე ბევრად მნიშვნელოვანი თავის მკითხველთა, საკუთარ ხალხთან და სამშობლოსთან დგომა და მოქმედება იყო: განსაკუთრებით თავდადებული და შეუპოვარი ხდებოდა იმ დროს, როცა ქვეყანას ძალიან უჭირდა და მამაც შვილთა თანადგომა სჭირდებოდა. ასე იყო 9 აპრილის სისხლიან ღამეს. ასე იყო მას შემდეგაც, როცა რუსეთის იმპერიამ და გამყიდველმა ქართველებმა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მთელი ეროვნული ხელისუფლება ქვეყნიდან გააძევეს, ნოდარ ჯალაღონიამ ლექსებთან ერთად პუბლიცისტური კალამიც მიმართა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. მისმა გაზეთმა-„ლაშარის გორი” მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ჟურნალისტიკაში.

და მაინც, ნოდარ ჯალაღონია პოეტი იყო, ნაღდი პოეტი, მგოსანი სულით ხორცამდე. ნოდარ ჯალაღონიას ყველა წიგნი თანამედროვე ქართული პიეზიის განსაკუთრებული შენაძენია, განსაკუთრებულია მის მიერ ლექსად ჩამოქნილი სათქმელი. განსაკუთრებული იყო თვით ნოდარის პიროვნებაც: ალალ-მართალი, შინაგანად ნათელი, უბრალოებით გამობრწყინებული, უაღრესად პატიოსანი, ამასთან ძალიან პრინციპული, პირდაპირი და შეუვალი.

ჩვენც ჩვენს ნოდარს მისსივე სიტყვებით ვიხსენებთ:

„თუმცა კრწანისზე არ მიბრძოლია-
და არც ყივჩაღთან მქონდა შეხვედრა,
მაგრამ არც ისე არ მიცხოვრია,
შემრცხვეს ვინმესთვის
თვალში შეხედვა”.

ჟურნალ „მიჯნის"რედაქცია
№3 (11),2018 წ.

რედაქცია ნოდარის მეორე ოჯახი იყო

„თავისუფლება ეს ის ღმერთია,
ყველა ენა ზე რომ ლაპარაკობს".
ნოდარ ჯალაღონია

სენაკის გაზეთ „ავანგარდის" რედაქცია მრავალ პოეტთა, თუ დამწყებ პოეტთა ნავსაყუდელი იყო. ნოდარ ჯალაღონიამ რედაქციის კარები პირველად სკოლის მოსწავლემ შეაღო და მისი პირველი ლექსიც მაშინ გაზეთ „ავანგარდში" დაიბეჭდა. აქედან დაიწყო ჩემი მამის, გაზეთის რედაქტორის ვლადიმერ(ილო) წირღვავას და ნოდარის მეგობრობა,

ნ. ჯალაღონია გაზ. „კოლხეთის" რედაქციაში

რამაც ღრმა ფესვები გაიდგა და სიკვდილამდე გაგრძელდა.

პირველ ლექსს მეორე, მესამე და ა.შ. სხვა უამრავი მისი პოეტური ქმნილება მოყვა. დრო გადიოდა და ნოდარი თანდათანობით ყალიბდებოდა, როგორც პოეტი. ნოდარის მეგობრული ურთიერთობა რედაქციის კოლექტივთან უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს, ხოლო მამაჩემი მის მეორე აღმზრდელ მამად იქცა(როგორც თვითონ აღნიშნავდა).

ილომ ურჩია რესპუბლიკურ პრესაში ეცადა ბედი და ცდამ არ დააყოვნა-მალე მისი ლექსები რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა.

დრომ სტუდენტობა მოიტანა და სენაკში ჩამოსული სტუდენტი პირველად რედაქციას სტუმრობდა, მისთვის რედაქცია მეორე ოჯახი იყო, ხოლო მამაჩემთან ურთიერთობა უფრო და უფრო მშობლიური. მის ლექსებში ღრმად იკვეთებოდა პატრიოტული თემა-საქართველოს ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი.

დრო გადიოდა და ნოდარი სტუდენტობის შემდეგ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება. თავისი შემოქმედებით ის მხარში ედგა ეროვნულ მოძრაობას.

პერიოდულად სენაკშიც ჩამოდიოდა. იყო ჩვენი ოჯახის აქტიური სტუმარი, ხოლო მე მისი მასპინძელი.

ქალბატონი მანანა ჯალაღონია (ნოდარის მეუღლე) ჩემდამი მოწერილ წერილში წერს: ... „ბატონ ილოს და ნოდარს თბილი, ახლობლური ურთიერთობა ჰქონდათ, ეს ბატონ ილოს ნოდარისადმი მიწერილ წერილებშიც ჩანს, რომელთა წაკითხვა გულგრილად არ შეიძლება... ბატონი ილოს წერილები ნოდარის შემოქმედების საუკეთესო შეფასებაა...

მწერლები და პოეტები: ს. ჭილაია, ა. გომიაშვილი, ა. შენგელია, ლ.სულაბერიძე, გ. გოგიჩაიშვილი, ნ. ჯალაღონია №7 საშ. სკოლაში 1971 წ.

ვფიქრობ თქვენთვის სასიამოვნო იქნება თქვენი მამის ნოდარისადმი მიწერილი წერილების გაცნობა, ამიტომაც გიგზავნით მათ ასლებს..."

და ბოლოს ქალბატონი მანანა მწერს...„დიდ მადლობას მოგახსენებთ ნოდარის მიმართ ასეთი ყურადღებისათვის, არც არის გასაკვირი, თქვენ, თქვენი მამის, ბატონ ილოს ტრადიციას აგრძელებთ"... (საკითხი ეხებოდა ბატონ ჯალაღონიას 80 წლის საიუბილეო ღონიძიებებისადმი მზადებას, რომელსაც ვხელმძღვანელობდი და აქტიური მონაწილეობა მივიღე.)

2018 წელს წავიდა ჩვენგან ნოდარ ჯალაღონია, რომელიც თავის დროზე ჭეშმარიტ მამულიშვილად-დიდებულ პოეტად მოევლინა მწერლობას, მთლიანად ქართულ საზოგადოებას.

მედეა წირღვავა

ნოდარ ჯალაღონია: ეროვნული მარადისობის სარანგები

„ისტორიას აღვიძებს ჩვენი სისხლის წვეთები: შუმერები, მოსხები, ხალიბები, ხეთები, კოლხები და ლაზები, იბერები, ქართები- ქართველებად გავჩნდით და ქართველებად დავრჩებით".
(ნოდარ ჯალაღონია, წარწერა წიგნზე „ქართველები", 2007 წ.)

ერის მარადისობას სამი უშველებელი საყრდენი ამაგრებს პლანეტა დედამიწაზე. თითოეული ადამიანი შეუდგება ამ ეტალონურ სიდიდეს ჯვარითა თვისითა, რაც, სწორედაც, ყოველი კაცისა და ქალისა, დიდისა თუ პატარის, საღმრთო მისიაა კიდეც.

ნოდარ ჯალაღონია! - წარმოვსთქვამთ და გაკვირვება შეგვიპყრობს, რამეთუ, ლამის ზღაპარი აუცხადებია: ოცდაათამდე წიგნი და დაულევნელი სიყვარულმსახურება მიუძღვნია თავისი მამულისათვის, ენისა და სარწმუნოებისათვის. პოეტური სიმფონიის კალეიდოსკოპები ყოველწამიერ საზრუნავად ჰქცევია და პოეტადვე წაბრძანებულა უფლისიერში.

დაბადებულა იგი 16 ივნისს 1934 წლისა, 85 წლის წინათ, გარდაცვლილა 2018 წლის 16 სექტემბერს. ვინ იყო? - პოეტი ლეგენდარულობით მოცული ჩხოროწყუდან (ცხრაჭიდან, ცხრაწყაროადნ - ლ.ჯ).

დასტურად იმისა, რა სიბრძნით განსჯიდა, რა სიბრძნით გაანათლებდა თაობებს ქართველთა, ორიოდ ლექსიც კმარა, ორიოდ ლექსი, სადაც საუკუნე - ათასწლეულთა სეფე საზრუნავ - დასაცველი გაუმჟღავნებია ქართველთათვის. მკითხველი თავადვე განსჯის მის პოეტურ იდეათა დედას: „ ქართველებად გავჩნდით და ქართველებად დავრჩებით", -შეუდრეკლად დააქუხა პოეტმა, როცა XX-XXI საუკუნეებში სამშობლო ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი მიმოიფანტა დედამიწაზე, ვითარცა ერი ისრაელისა, შეურაცხყოფილ მსახურებად იმ ქვეყნებისა: პირისფარეშებად - ჩვენი ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები, როგორც მსახურნი უბირნი - ექიმები, ინჟინრები, არქიტექტორები, როგორც ქვემდგომნი - ჩაგრულებად შერაცხულნი - ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები!

ამადაც გაცოცხლდა პოეტის სულში ერის თვალშეუდგამი ჭირისუფლის - სულმნათი მუხრანის სიმწრითა და ცეცხლთაფრქვევით აღმონათქვამი: „რამ დაასველა? რამ დათეთრა? (სულხან საბა - ლ.ჯ) პასუხი კი იქვე წვიმდა და თოვდა: „საქართველოა მისთვის თოვლიც და წვიმაც". ამასვე ვიტყოდით ბ-ნ ნოდარ ჯალაღონიას ანდერძისებრ შეგონება - სახვეწარზე მიმართ ქართველთა, რათა შთამომავალთა შუმერით, მოსხთა, ხალიბთა, კოლხთა თუ ლაზთა, იბერთა თუ ქართები დარჩნენ ქართველებად. ეს საუფლო აზრი დაუტოვა ქვეყანას - ხალხს ქვად საქვაკუთხედოდ, კლდედ, შავ კლდედ, (ვაჟა), სარანგად ერის გადარჩენისა, როგორც კანონი ქართველთა მარადისობისა, რადგან აღვერიენით ერთა უცხოთა", რათა მტკიცედ ვიდგეთ წინაშე სამშობლოს წმიდა საკურთხეველთა, რისთვისაც ქვად ჩვენი ძვლები გვიხმარია, კირად კი - ჩვენი სისხლი, გამოც რომლისა ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შეუმუსრავთ სამშობლო ჩვენი (ილია, „რა გითხრათ ? რით გაგახაროთ - პერიფრაზი, ლ.ჯ).

იცის პოეტმა, რომ ყოველი გარჯა ქართველისა უცხო ცისქვეშ ამაოა,

თუკი არ მოესმა მას (ემიგრანტ ქართველს- ლ.ჯ)

ხანდახან ყეფაი ალგეთის ლეკვებისა,

თუ არ მოენატრა წინანდლის ვარდი კი არა, ეკლებიც,

თუ არ გაადიდგულა ის ცხრა ძმამ და იმ მარაბდამ,

თუკი „შავლეგოს" სიმღერამ ძარღვებში არ გაუარა"

(წარწერა წიგნზე „ქართველები").

იცის პოეტმა ნოდარმა, იცის, რომ ყოველი ქართველის სიცოცხლე, გაჯერებული სამშობლოს მსახურებით, მშობლიური მიწა - წყლითა უფლისეული ქართველი ერის მარადიულობის სარანგებია,

რათა მამული არ დარჩეს უპატრონოდ,
უპატრონოდ ქართველთაგან,
რათა ენა არ ჩაჰკვდეს უქართველოდ,
რათა სარწმუნოება არ დაკნინდეს (!) უმრევლოდ.

ეგეც ყოველი ერის საყრდენ - სამაგრია ერის არსებობისა, - რასაც გვახსენ - გვანუგეშებს პოეტი, რომლის სამშობლოდანაც აბორიგენთა ნახევარი დედამიწას მოჰფენია ლტოლვილ - გასხმულებად დედაქვეყნისაგან.

და .... დგას ჩვენს საწნახელში 30-მდე წიგნის ავტორი - ბატონ ნოდარ ჯალაღონია, 85 წლის ბერიკაცი და ანგრევს ისტორიულ საშიშროებათა ციხე- სიმაგრეებს, რათა შთააგონოს თანამედროვეთ და შთამომავალთაც ანდერძი მამაპაპისეული: **„არც არასდროს გავქრებით, არც არასდროს დავშრებით", მაგრამ აფრთხილებს რომ, თუ ასე განილევა ყოველი ქართული, ბჭენი ჯოჯოხეთისანი გაანიავებენ საქართველოს. დიდ აკაკისაც რჩებოდა იმედი: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს"** ქართველო.

ინებოს უფალმა ჩვენი გაძლიერება - აღდგინება! - ამბობს პოეტი, პოეტის პირით კი - თავის მიწას შერჩენილი ქართველობაც.

და - ამინ!

P.S მოწიწებით ქედს ვიხრით წინაშე თქვენსა, ბ-ნ ნოდარ, თქვენი ამაღლებული მამულიშვილური მოღვაწეობისათვის. გვჯერა, თქვენ ჩვენთანა ბრძანდებით და ჩვენთან ერთად ევედრებით უფალს ქართველთა გადარჩენას,- სრულიად საქართველო.

ლუარა ჯიქია
ქართული სიტყვიერების მასწავლებელი
ქალაქის N2 საჯარო სკოლის

ფ ო ტ ო მ ა ტ ი ა ნ ე

ნ. ჯალაღონია და კ. გამსახურდია. თბილისი. 1972 წ.

ნ. ჯალაღონია გაზ. „კოლხეთის" რედაქციაში

ნ. ჯალაღონია და ფ. ხალვაში. ბათუმი. 1990 წ.

ნ. ჯალაღონია და ნ. ნარსია. ბათუმი. 1957წ.

ჩვენი ძვირფასი ნოდარი

ჩვენი კულტურული ფესვებით ნასაზრდოები, ღირსეული და გამორჩეული მოღვაწე გახლდათ ბატონი ნოდარ ჯალაღონია. ხმატკბილი პოეტი და მოგალობე. მისი პოეტური ხმა მძლავრი და თავისი დროის შესაფერისი გახლდათ. ტკიოდა საქართველო, მოსახლეობა და ხმალამოღებული იღვწოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

მადლობა უფალს ბატონი ნოდარი მოესწრო მისი სათაყვანებელი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას, ამით უდიდესი იყო მისი სიხარული და შინაგანი კმაყოფილება. ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ მისი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში შექმნილი საუკეთესო ლექსები განსაკუთრებულობას ახალ დროში იძენს. ისინი ქართული ლირიკული ჟღერადობის მაღალ პოეტურ გამოხატულებით მოწონებას იმსახურებენ თანამედროვე ადამიანში და არა მხოლოდ ემოციურ, არამედ მისი მრავალმხრივი ინტელექტუალური ინტერესებით.

მის მიერ პოეზიის ენაზე ამეტყველებულ იქნა არა მარტო ადამიანური სულის ექსტაზური აღმაფრენა, სიყვარული, აღტაცება თუ სევდა, არამედ მისი სულიერი ცხოვრებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი შინაგანი ჰარმონია და რწმენის ძიება. სიცოცხლისა და შემოქმედების იდუმალ მამოძრავებელი ძალა თანმდევი იყო მისი რამდენიმე ათეული წლების მანძილზე.

მისთვის ძვირფასი იყო მშობლიური რაიონი და ახარებდა ყოველი წარმატება და გულს ტკენდა წარუმატებლობა. ამიტომაცა იმედს ვიტოვებ მომავალი თაობები კიდევ უფრო დააფასებენ მის შემოქმედებას.

ბორის დავითაია,
მწერალი, აკაკი წერეთლის
სახელობის პრემიის ლაურეატი

მოგონებანი გარდასულ დღეთა

მე, ნოდარი და მანანა შალიკიანი, რეზო ფაჩულია, ტატო ჯანჯღავა, ნელი გუბელაძე, ელიჩქა კოდუა და სხვები სტუდენტობის წლებიდან ვმეგობრობდით.

მე და მანანამ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრეთ სილიკატების ტექნოლოგიის სპეციალობით. შემდეგში მანანა და ნოდარმა სიყვარულით შასანიშნავი ოჯახი შექმნეს. მანანა განუმეორებელი მეგობარი, მეუღლე გახლავთ.

ნოდარი ახალ წიგნებს ჩემთან ინახავდა, საჭიროების შემთხვევაში მიჰქონდა ღონისძიებაზე. მისი გამოშვებული წიგნების და პუბლიკაციების უმეტესობა ჩემს ბიბლიოთეკაში ავტორისეული წარწერებით ინახება.

ჩვენი ოჯახები მეგობრობდა. ბაბუა მანუჩარი შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დღესასწაულებზე ხშირად შემოივლიდა ხოლმე სახლში. ნოდარის მამა დომენტი ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი იყო, სადაც დედაჩემიც მუშაობდა.

ნოდარი მეგობრობდა დედასთან სოფიო ბეგლარის ასულ მიქაიასთან. თბილისიდან ჩამოსული ისე არ წავიდოდა, დედა რომ არ მოენახულებინა.



ნოდარი მშობლებს ხშირად სტუმრობდა მწერლებით, პოეტებით, ტელევიზიის თანამშრომლებით.

1975 წელს თბილისიდან ჩამოვიდა მწერალთა ჯგუფი №5 სამშენებლო ტრესტის თანამშრომლებთან შეხვედრაზე. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ნოდარი. იყო აზრთა გაზიარება, კამათი, ლექსები.

დ.ივარდავა, ს. ქეთელაური, ნ. ჯალაღონია, გ. გიგაური შეხვედრაზე
№ 5 ტრესტის მშენებლებთან 1975 წ.

1984 წლის 9 ივლისს კინოთეატრ „რუსთაველში“ შედგა პრემიერა ფერადი სატელევიზიო ფილმის „ოჯახური ტრადიცია“. ფილმი მიეძღვნა ჩვენი რაიონის მშრომელებს, №5 სამშენებლო ტრესტის მშენებლებს თ. და გ. ძიძიგურებს. სცენარის ავტორი გახლდათ პოეტი ნოდარ ჯალაღონია, რეჟისორი მიხო ბორაშვილი, ოპერატორის თანაშემწე თ. გერასიმოვი, მემონტაჟე მ. ლომიძე. ფილმში მთავარი თემა სიკეთის, ერთგულების, სიყვარულის ტრადიციაა. სადაც წარმოჩინებულია ჩვენი კუთხის ბუნება, ეგრისის უძველესი ციხე-სიმაგრის ნაშთი, მშენებლობის პროცესები №5 ტრესტის სამშენებლო ობიექტებზე.

თავად ნოდარმა გოლგოთის გზა გაიარა, უაღრესად შეყვარებული იყო სამშობლოზე და მის ისტორიულ წარსულზე, სიმართლეზე, სიკეთეზე. ერთ-ერთ ლექსში ჩიოდა; რატომ არ მაქვს მლიქვნელის, ფარისეველის ნიჭი, დღევანდელ საქართველოში ცხოვრება მიჭირსო.

ნოდარ ჯალაღონიამ სამართლიანობისათვის ბრძოლაში დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი. მეგობრების მეხსიერებაში კი დატოვა ნათელი კვალი და მონატრებით, ერთგვარი ნოსტალგიითა და ტკივილით აღსავსე მოგონებანი „გარდასულ დღეთა”.

ზაირა ფაჩულია

მადლობა

ნოდარ ჯალაღონიას ბავშვობა ახსოვს სენაკს, მისი მოწიფულობა სკოლას, მისი მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა მეგობრებს, ახლობლებს. მამისეულ სახლ-კარიც ინახავს მოგონებებს მასზე, ჩვენი გაზეთის ფოლიანტად ქცეული ფურცლებიც. გვახარებს, რომ პირველი ლექსი სწორედ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა. შეიძლება ითქვას „ავანგარდი” გახდა მისი დამკვალიანებელი პოეზიის უკიდეგანო სამყაროში, რაც ქუდბედიანი გამოდგა.

და დღეს, 85 წლის გადმოსახედიდან, როცა ნოდარ ჯალაღონია იმიერი საუფლოს ბინადარია, ჩვენ, მისი თანაქალაქელები მოწიწებით ვიგონებთ მის განვლილ გზას, პოეტურ ქმნილებებს კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით.

ნოდარ ჯალაღონია იყო პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, ახალგაზრდების აღმზრდელი... მასზე და მის შემოქმედებაზე უამრავი რეცენზია, სტატია, გამოკვლევაა (რომელთაგან ამონარიდებს დღეს გთავაზობთ) დაწერილი. მათ შორის ჩვენს რაიონულ გაზეთშიც. ასე მაგალითად: „წრფელი გულით ნამღერი“ -- გაზეთი „ავანგარდი“, 1956 წელი. „ორი გულის ერთი სიმი“ „კოლხეთის ცისკარი“, 1965 წელი. ორივე წერილის ავტორი ბორის მილიუტინია. „მეგობრულად მეგობრის წიგნზე“, 1964 წელი, გაზეთი „კოლხეთის ცისკარი“-, ავტორი გურამ ბათიაშვილი. და ასე შემდეგ.

სენაკის რეალობაზე პოეტის მიერ დაბეჭდილი წერილებიდან (რაიონულ, თუ რესპუბლიკურ პრესაში) გამოვყოფთ რამდენიმეს. 1. „რეპორტაჟი სახალხო თეატრიდან“, გაზეთი „კოლხეთის ცისკარი“, 1962 წელი. 2 „ლამაზი სულის ადამიანები”- გაზეთი „კოლხეთი“, 1968 წელი. 3. „სენაკის თეატრის გრიმიორი ს. ტყავაძე “ – „თეატრალური თბილისი”, 1964 წ. 4. „დედამთილი“ – „თეატრალური მოამბე”, 1969 წელი. (რეცენზია სენაკის სახალხო თეატრის სპექტაკლზე) და ა.შ.

ნოდარ ჯალაღონიას ფიქრის, განსჯის საგანი იყო სრულიად საქართველო. არ შეიძლება გულის გულში არ მოგხვდეს არ შეგძრას, უპეებზე ცრემლი არ მოგადგეს, არ იგრძნო შენი ფესვის სიმყარე. „ენა, მამული, სარწმუნოების“ ნერვი არ აგითრთოლდეს, არ ამაღლდე, არ გალომგულდე, შენი ჯიშის და ჯილაგის სულიერმა ენერგიამ ერთბაშად არ იხუვლოს შენში და არ გადმოიღვაროს, არ განიწმინდო ამქვეყნიური ამაოებისგან. არ შეიძლება წამის იმ მონაკვეთში, „ყვავილების მიწას“ რომ კითხულობ, საუკუნეების სიღრმეებში დაფლული ჩვენი ბედი და უბედობა ერთბაშად არ ამომზევდეს შენში და გმირად არ იქცე, რეალურად თუ ირეალურად ამბარზურას არ აეფარო და „სამშობლოსათვის, მამულისათვის, არ იყოს შენი სულის უკანასკნელი კივილი. ნამდვილ პოეზიას ეს შეუძლია, შენი სულის კუნჭულში მინავლული ნაპერწკლის კოცონად აგიზგიზება.

მადლობა ნოდარ ჯალაღონიას სულს ჩვენი სულიერი კათარზისისთვის.

ნინო სართანია

ამონარიდები ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან

ნოდარ ჯალაღონია-უშიშარი ეროვნული პოეტი და მამულიშვილი, რომლის მსგავსი პატიოსნება საქართველოში სანთლითაა საძებარი. ნოდარ ჯალაღონიამ პუტჩისტების თარეშის დროს საქართველო, სხვა ინტელიგენტებივით,პრივილეგიებზე არ გაცვალა. ან შეშინებული ბუჩქებში არ შეყუჟულა, არამედ მრავალჭირგამოვლილ სამშობლოს უერთგულა სიცოცხლის ბოლომდე. 1996 წელს ეროვნული მიმართულების გაზეთის-,,ლაშარის გორი”-ს გამოცემა, მწერლის მხრიდან სამაგალითო გმირობა და რისკი იყო. ცხადია, რეპრესიებიც იწვნია-ღალატი, განდგომა, შური, რამაც უზომოდ შემართული პიროვნება სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოაცილა. ბოლომდე მებრძოლი პოეტი დასაშინებლად ციხეშიც კი გამოამწყვდიეს, ოჯახში ზონდერები შეუცვივდნენ. ამ დროს გულადი და შეუდრეკელი პოეტი საკანში ,,ვეფხისტყაოსანს” ითხოვდა, რის გამოც პოლიციელთ დაცინვა დაიმსახურა.

ნოდარ ჯალაღონიამ პირველმა, მერაბ კოსტავას სიცოცხლეშივე უძღვნა საოცარი ლექსი და ამით უამრავი კონფორმისტი აიმხედრა.

ვამაყობ, რომ მასთან მეგობრობის ჟამს, ბოლო წლებში განდგომის მიუხედავად ბატონი ნოდარი ჩემს შეხმიანებას სიხარულით ხვდებოდა. როდესაც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვრცელი და მწვავე წერილი ჟურნალ ,,ამერიმერში” გამოვაქვეყნე, დამირეკა და გულაჩუყებულმა ცრემლნარევი ხმით-ნუთუ გახსოვარო-მითხრა და შინ მიმიწვია.

უპატიებელი შეცდომების გამოისობითაა, რომ ეროვნულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოვყალიბდით, რადგან მართალ, სამშობლოს მოყვარულ კაცს დღენიადაგად ვჩაგრავთ და პირად პრივილეგიებზე გადაგვებულ გავლენიან მტყუანს იმას მივაგებთ, რაც არ დაუმსახურებია.

იკა ქადაგიძე,
პოეტი, მწერალი, ჟურნალ ,,ისინდის” გამოცემელი, რედაქტორი

* * *

ნოდარ ჯალაღონია პრინციპული, პირდაპირი და უკომპრომისო პიროვნება იყო, გამორჩეულად პირდაპირი, ნოდარს ძალიან ჰგავს თავისი ლექსები. ეროვნული იდეალებისადმი ერთგულებით სავსე პოეტის გულის ამოძახილია ამ იდეალებისადმი მიძღვნილი ყველა სტრიქონი.

გელა შალვაშვილი,
პოეტი, მთარგმნელი

ფოტომატიანე

ნოდარი, მანანა, ალიკო და იზოლდა ჯალაღონიები

ნ. ჯალაღონია, ლ. სანიკიძე, მ. მაჭავარიანი მეუღლეებთან
გაგრის ქართულ სკოლაში შეხვედრის შემდეგ. 1984 წ.



ი. დოლაბერიძე
ფ. სულაბერიძე და
ნ. ჯალაღონია

ნიდარ ჯალაღონია - 85



სენაკი

ჩემი ბავშვობის ქალაქი

დავდივარ, ვეძებ ბავშვობის ქალაქს,
გული საგულეს ვერ ძლებს.
ვეძებ ძველ ქუჩებს, მოედნებს, სახლებს,
ნაცნობ სახეებს ვეძებ.
დავდივარ, ვეძებ და გული მწყდება,
ყელს ებჯინება ცრემლი.
გადაიყოლეს, ეტყობა, წლებმა,
არ ჩანს ქალაქი ჩემი.
მე რომ მიყვარდა, იმ ბაღში ეხლა,
სულ უცნობები სხედან.
სევდიან ფიქრებს იმედიც ახლავს,
დე, გაიხარონ სხვებმა...
და ვესალმები და ვეფერები
ყველას ღიმილს და სიცილს,
ეს უნებლიე სევდა და ცრემლიც
ალბათ სიბერემ იცის.
თვალი კი მაინც ჯიუტად ეძებს
ნაცნობ სახეს და სახელს,
ვაგლახ, რომ ბევრის სახელიც,
გვარიც სასაფლაოზე ვნახე.

ჩემი კოლხეთი

ვეფერე და ვესათუთე
საქართველოს ყველა კუთხეს,
ახლა ლექსებს, შენზე უთქმელს,
ოცნებებით ღამეს ვუთევ.

ღამეს ვუთევ ილორს, ჭყონდიდს,
მარტვილს, ცისკენ ხელებგაწვდილს,
მე პირველად მაშინ ვცხონდი,
შენს მიწაზე როცა გავჩნდი.

და ის მიწა, ის მზე, ის ცა,
შენ პირველად რომ მაჩვენე,
შემდეგ საქართველოდ იქცა
და აქამდე არ მასვენებს

მინდვრები და შენი ზვრები
ავგაროზად გულს მეკიდა,
იწყებოდა ყველა გზები
შენი ვიწრო ბილიკიდან.

ყველა კოშკს და ყველა ციხეს,
მთაწმინდას თუ ნიკორწმინდას,
ვეფერე და ველაციცე
რუხის ციხის ქონგურიდან.

შენი მზე და შენი მთვარე
მიუძღოდა ლექსის გუთანს,
შორი გზებით მოვიარე,
რადგან ახლოს მყავდი გულთან.

ჩემო ზარო, ჩემო ლხინო-
სიმღერავ და ცრემლო ჩემო,
იცი, წლები ლექსს და ღვინოს
უფრო მატებს ფერს და გემოს.

სიტყვის ზვარში შენით შეველ,
შენი ჰანგით, ფერით, ხმებით.
ისევ შენ თუ არ მიშველე,
თიხასავით დავიშლები.

მავიწყდები, სულო, განა,
თუკი ხშირად არ გახსენებ,
მომიყვანა შენმა „ნანამ",
შენი „ბატა" გამასვენებს.

უპირველესი ჩვენი მტერია

კრწანისის ომში მეფე ერეკლეს
რატომ ვატკინეთ გული ღალატით,
საქართველოში ყაზბეგს და გრანელს
რატომ ჩავაცვით გიჟის ხალათი.

რად ვერ ვისმინეთ, რად ვერ გავიგეთ
ბარათაშვილის სულის ძახილი.
ან ბრძოლის ველზე ვახტანგ გორგასალს
რატომ ჩავეცით ზურგში მახვილი.

ჩემო სამშობლოვ და ჩემო ხალხო,
ხომ სირცხვილი და ხომ ტკივილია,
გალაკტიონმა მოიკლა თავი,
თვითონ ვესროლეთ ტყვია ილიას.

რატომ არ ვიცით ხანდახან ფასი
ხალხის და ქვეყნის ერთგული შვილის,
რატომ დავტოვეთ უსაფლავებოდ
ტიციანი და ჯავახიშვილი.

ვერ გამიგია, ვერა და ვერა,
რად ვერ მივხვდით და რად ვერ ვიცანით
და უპატრონოდ რატომ დავტოვეთ
ასათიანი და ფიროსმანი.

რატომ დავტოვეთ ბედის ამარა
ქართული ენის, სიტყვის მერჯულე,
რად არ დავმარხეთ საქართველოში
შოთა რუსთველი ანდა მერჩულე.

ვაი, რომ დღესაც, დღესაც ვერ ვხვდებით,
ხარობდა მტერი და მოძალადე,
როცა ვლანძღავდით ზვიადს და მერაბს
და ვადიდებდით ქვეყნის ჯალათებს.

კვლავ ერთმანეთის შურით და მტრობით
მტერმა სამშობლო სანამ გვითელოს,
სანამ ვისმინოთ აკაკის სიტყვა-
„ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველოვ:.

ვაგლახ! ხომ დღესაც, დღესაც ვერ ვხვდებით-
სამშობლო ჩვენთვის ყველაფერია
და ერთმანეთის შური და მტრობა
უპირველესი ჩვენი მტერია.

მღერის სამი მაფშალია

ვუძღვნი სენაკელთა
„კოლხურ ტრიოს"- ბელა ქამადაძეს,
დონარა მიმინოშვილს, დარეჯან ფაჩულიას

ოუ, ნანა, დიდოუ, ნანა,
ეს რა ხმა და ფერებია,
ალიონზე ვარდს რომ ნამავს,
მაფშალიას ცრემლებია.
სიყვარულის მწყალობელი
მღერის მახა, მახარია,
აგერ შაშვი მგალობელი,
სკვინჩა მისი მაყარია.

დარდი ახრჩობთ სიმებს განა,
ძველი დარდი დამშრალია.
სამაია, სამთაგანა,
მღერის სამი მაფშალია.
ბულბულის და ვარდის ხმები
ანგელოზებს ცაში მიაქვთ,
ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები
მიჯნურების თვალებია.
ერეხელი, მერეხელი,
ქუხს სიმღერა ძველისძველი,
საქართველო ხოხობია,
სამეგრელო ხოხბის ყელი.
მოდიოდნენ ჩვენი მტრები,
მოდიოდნენ წყება-წყება,
მოდიოდნენ ამ ფერების,
ამ ჰანგების წასაღებად.
მოდიოდნენ ჩვენი მტრები
ხან ჩუმად და ხან აშკარად,
მოდიოდნენ ლეგენდების
და ზღაპრების მოსაპარად.
მოდიოდნენ ჩვენი მტრები,
მოდიოდნენ გუნდი-გუნდად,
მოდიოდნენ საქართველოს
სილამაზის გასაქურდად.
მაგრამ, ბოლოს, ისე მოხდა,
ზოგი ცხადად, ზოგი ჩუმად.
ზოგი მისმა ეშხმა მოკლა
ზოგი ტყვიამ, ზოგი შურმა.
აწი ამ ხმებს, ამ სიმღერებს,
ამ მიწაზე ვერვინ წაშლის
და კოლხეთის ოქროს ფერებს
ავწევ როგორც ოქროს საწმისს.

მანანას

რადგან ეს გული გენდო თავიდან,
მოგონებებით ვრჩები წარსულთან,
ქარიშხლიანი წლები წავიდა,
მაგრამ ის გრძნობა არსად წასულა.
იმ გრძნობასა და იმ გატაცებას
ისევ ის წლები უდგას თავდებად,
შენ არ გიჭირდა გულის გაცემა
სამშობლოსათვის თავის დადება.
ჩემს თვალში მაშინ ისე ამაღლდი,
მეც სიმამაცის გრძნობით ამავსე,
ტყვიების წინ რომ იდექ ამაყი,
მეჩვენებოდი უფრო ლამაზი.
რადგან იმ დღეებს გამოყოლილხარ,
გულის პასუხი ვისთვის მეკითხა,
მეუღლისათვის მხოლოდ ცოლი ხარ,
პოეტისათვის –უფრო მეტი ხარ.

ნოკო ხურციას გახსენება

ხმის ჩამწერმა სტუდია „მელოდიამ" გამოუშვა
ნოკო ხურციას სიმღერების ფირფიტა...

როგორც ჩუქურთმა – მარტვილის კედელს,
შენი ხმა ქართულ სიმღერას შვენის.
საქართველოს ცას, კოლხეთის ედემს,
არ მოსწყინდება გალობა შენი.
შენი ბულბული ვარდს ისევ უმღერს.
და სიყვარულის ასევე სჯერა,
ვერავინ ადგამს კისერზე უღელს,
შენს ხმას მიჩვეულს ბუსკას და ჩელას.
იბადება და არასდროს კვდება
ნაღდი სიმღერა და ნაღდი ლექსი.
შენი „ჰარირა" კვლავ ცერზე დგება,
უტუს შენი ხმა ისევე ესმის.
შენ ისევე აქ ხარ,შენ ისევ მღერი,
შენ ისევ ატკბობ გულსა და სმენას,
შენი ხმა, შენი ლერწამის ყელი
სალამურივით უჭირავს სენაკს.
იქაც გახარებს ის ცა და ის მზე,
სამუდამოდ რომ შენს გულში დარჩა,
და სარდალივით მიუძღვის ისევ
შენი ხმა კოლხურ ფანჯრის ლაშქარს.

პოეზიას ძეგლი უდგას მხოლოდ საქართველოში

ქუჩაში დაწერილი ლექსები

დღეს ორი საქართველოა, ორი ხმა, ორი ფერია...
მეტეხ-პალასი გრიალებს და რესტორნები მღერიან.
არის სიცილი, კისკისი, სალონებში და ბარებში,
,,როლს-როისების", ,,ფორდების",
,,მერსედესების თარეში".
ნამდვილი საქართველო კი ქუჩაში გამოყრილია,
აქ სხვა ცხოვრება, სხვა ფიქრი,
სხვა დარდი, სხვა ტკივილია.
აქ სიღატაკე, სიმწარე, სიცივე და შიმშილია,
ჩემი ლექსებიც ამ ქუჩის და ამ ცხოვრების შვილია.

* * *

დღეს სიცოცხლე შენი
ჰგავს აპრილის რტოს,
მაგრამ, როგორც შველი,
მაინც გარბის დრო.
ბოლოს მაინც მოვა
ის დეკემბრის თვეც,
დაიწყება თოვა
და წაბლისფერ თმებს
ნელა,ნელა, ნელა
გაათეთრებს სულ.
დასცილდება ყველა
დაბერებულ სულს.
ო, ამ ლამაზ თვალებს
ასე თბილს და კარგს,
დრო არ შეიბრალებს,
დრო გაატანს ქარს.
შემორჩები მარტო
შენს დარდსა და გზებს,
დღეს ვიღაცის ხატო,
დღეს ვიღაცის მზევ.
არჩევანს და ლოდინს,
ნუ შეასხამ ფრთებს,
ჩქარა . . . თორემ მოდის
ფოთოლცვენის თვე.

ყვავილების მიწა

მზე და აპრილი ეღვრება ქუჩებს,
თბილისი ტანზე გაზაფხულს იცვამს,
და ჟრუანტელად დამივლის უცებ
-იყიდეთ მიწა!
ყვავილის მიწა!
    იყიდეთ მიწა!-ეს ორი სიტყვა,
    მწარე დარდით და წუხილით მავსებს,
    ცრემლების წვიმას, ტყვიების სეტყვას,
    თითქოს კვლავ ვხედავ თბილისის თავზე.
-იყიდეთ მიწა!-ეს ორი სიტყვა
სიმღერასავით ესმოდა სულთანს.
შემდეგ ვაჭრობდა იუდა დიდხანს
და საქართველოს გაყიდვა სურდა.
    საქართველოს კი ქება და ფასი
    ემატებოდა, კიდევ და კიდევ.
    მონღოლი,
        თურქი,
            არაბი,
                სპარსი ...
    რა დაულევდა ჩვენს მიწას მყიდველს.
-იყიდეთ მიწა!-ეს ორი სიტყვა
გარდასულ დღეთა წუხილით მავსებს.
და მე ვიგონებ ტყვიების სეტყვას
და სისხლის წვიმას თბილისის თავზე.
    ვიგონებ ყველა დაცემულ ვაჟკაცს,
    ვინც მტერს და სიკვდილს არ დახვდა ლაჩრად,
    ვისი სახელიც თბილისში დარჩა
    ვისი საფლავიც თბილისში არ ჩანს.
ვინც მტერს მარაბდა დაუსვა ძვირად
და ახლაც მხოლოდ შენდობას ითხოვს.
იქნებ მათ საფლავს წაართვით ძილი,
იქნებ მათ საფლავს წაართვით სითბო.
    ხომ მიწად იქცა თამარის ძვლები,
    და ახლა იქნებ იმ მიწას ჰყიდით.
    ჩვენ თვალები გვეღლება ძებნით,
    ჩვენ კი დავდივართ კიდიდან კიდე.
ის მიწა, ახლა რომ ჰყიდით გროშად,
ის მიწა, ასე ცივად რომ უმზერთ,
წინაპრებს ჩვენსას იმ მძიმე დროში,
ავგაროზებად ეკიდათ გულზე:
რომ გული მუდამ ჰქონოდათ მტკიცე,
რომ მკერდი მუდამ ჰქონოდათ თბილი;
მიდიოდნენ და შეკრულნი ფიცით
ერთ მუჭა მიწას აკლებდნენ თბილისს.
    მიდიოდნენ და მამულის მადლი
    ბორკილთან ერთად მიჰქონდა უბით,
    შემდეგ ის მიწა ხდებოდა მათი:
    სამშობლოც,
        ცრემლიც,
            საფლავიც,
                კუბოც.
    მიდიოდნენ და მამულის ცდაზე
    ეხარჯებოდათ ჯანი და ფიქრი.
    სიკვდილს, მოვარდნილს სამშობლოს ცაზე.
    ეზიდებოდნენ სამშობლოს იქით.
და ჩვენი მიწა, თბილისის მიწა,
მარაბდისა თუ კრწანისის მიწა,
დამწვარი ცეცხლით, დამწვარი სიცხით,
ვინც საქართველოს თამარი მისცა,
ვინც საქართველოს რუსთველი მისცა,
არის დაღვრილი ცრემლი და სისხლი.
    ეს არის ჩვენი მამების ძვლები,
    რომელიც შემდგომ მამულად იქცა;
    ეს არის ჩვენი დედების ძვლები,
    რომელიც დედა-სამშობლოდ იქცა.
    ეს არის ჩვენი განვლილი წლები,
    რომელიც ქართლის ცხოვრებად იქცა.
    და მუხლმოყრილი მე გეხვეწებით;
    ნუ ჰყიდით მიწას!
    ნუ ჰყიდით მიწას!

დედა

ახლა, როცა ბედთან ხშირად ვდაობ,
მენატრები, მენატრები დედა!
ახლა, როცა მეძალება სევდა,
უფრო ხშირად მენატრები, დედა!
ახლა, როცა სხვების დედებს ვხედავ,
უფრო, უფრო მენატრები დედა!
ახლა, ხშირად სიზმარში რომ გხედავ,
ნეტავ, რისი ნიშანია, დედა!

„ბავშვები ჩვენი მომავალია"

1925 წელს ჟენევის საერთაშორისო კონფერენციაზე, როდესაც ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის შესახებ საკითხებზე მსჯელობა მიმდინარეობდა, გადაწყდა, რომ ზაფხულის პირველი დღე -1 ივნისი ყოფილიყო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. დღესასწაულის არსებობა განმტკიცდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ -1949 წელს, როდესაც ბავშვთა პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა. პარიზში ქალთა საერთაშორისო კონგრესზე დადეს ფიცი, რომ უპირველეს ამოცანად გაეხადათ ზრუნვა მშვიდობის შენარჩუნებისა და ბავშვთა ბედნიერებისათვის. პირველად ბავშვთა დაცვის დღე აღნიშნეს 1959 წელს. მას შემდეგ ეს დღესასწაული ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღეს მწვანე ფერის დროშა აქვს, რომლის ცენტრშიც გამოსახულია დედამიწა და მის გარშემო 5 სხვადასხვა ფერის ადამიანის ფიგურაა. დროშის მწვანე ფერი - ეს ჰარმონიის, სიცოცხლის და ნაყოფიერების ფერია. დედამიწა - ეს ჩვენი საერთო სახლია, მისი ლურჯი ფერი სამყაროზე და იმ ერთიანობაზე მიგვანიშნებს, რომელიც მხოლოდ გაგებითა და სიყვარულით მიიღწევა.ხუთი ფერის ადამიანის ფიგურა კი სხვადასხვა რასის ხალხს გვახსენებს. რომელთა შორის მხოლოდ მეგობრული კავშირი უნდა იყოს.

დღესასწაულს, როგორც წესი, აღნიშნავენ ბავშვებისადმი მიძღვნილი კონცერტებით, გამოფენებითა და სხვა ღონისძიებებით.

მეშვიდე საჯარო სკოლაში(დირექტორი ბიძინა ტაბაღუა) ბავშვთა დაცვის დღე აღინიშნა სამენოვანი ღონისძიებით ,,ბავშვები ჩვენი მომავალია", რომელიც სკოლის უცხო ენისა და რუსული ენის კათედრის პედაგოგების გურანდა ვახანიას, სოფო სახოკიასა და ნანა ხოშტარიას ორგანიზებით მომზადდა. მუსიკალური ხელმძღვანელი იყო ლიკა ნარსია.

ღონისძიება გაიმართა სამ ეტაპად: საზეიმო კონცერტი, ასფალტზე ხატვა და მხიარული სტარტები.

საზეიმო კონცერტის დაწყებამდე მოეწყო დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ნახატებისა და ხელთნაკეთი ნივთების გამოფენა (პედაგოგები დოდო ჭანტურია და ეკა გოგია). საუკეთესოდ მიიჩნიეს IVკლასის მოსწავლეთა ნამუშევრები(დოდო ჭანტურია).

საზეიმო კონცერტის მონაწილე მოსწავლეები მსმენელის წინაშე წარსდგნენ ქართული, ინგლისური, რუსული სიმღერებითა და ლექსებით. ყველა უცხოენოვანი ტექსტი ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. მოსწავლეებმა შეასრულეს სხვადასხვა ქვეყნების ხალხური ცეკვები. აღსანიშნავია, რომ ყველა ცეკვა დადგმული იყო მაღალი კლასის მოსწავლეების მიერ.

ბავშვთა დაცვის დღე თანატოლებს მიულოცეს ყველაზე პატარებმა, მომავალმა პირველკლასელებმა მარი ტაბაღუამ, ელენე გოგოტიშვილმა და გიორგი გადილიამ.

მონაწილე ბავშვებს დაურიგდათ ნაყინი და გამაგრილებელი სასმელები.

კონცერტის შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ასფალტზე ხატვაში. საუკეთესოდ მიიჩნიეს საუკეთესოდ მიიჩნიეს ლიზი ლაშხიას, საბა სიგუასა და მარი გნოლიძის ნახატები.

ღონისძიების დასასრულს გაიმართა სპორტული შეჯიბრი ,,მხიარული სტარტები" IV და V კლასის მოსწავლეებს შორის(პედაგოგები აბესალომ იოსელიანი და ლაშა ჩემია). დაძაბულ და საინტერესო ორთაბრძოლაში გაიმარჯვეს V კლასელებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ რესურსცენტრის დირექტორი დარეჯან ზარანდია და ლაშა გრიგოლია, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები.

ბავშვები - ეს ხომ ყველაზე ძვირფასია რაც გაგვაჩნია! ამიტომაც აუცილებელია მათზე ზრუნვა და შრომა იმისათვის, რომ მათი ცხოვრება იყოს რაც შეიძლება უკეთესი. პატარების ღიმილი და ბედნიერი სახეები ხომ ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამქვეყნად.

ბავშვთა დაცვის დღე კიდევ ერთხელ გვახსენებს რომ მხიარული და ბედნიერი ბავშვობა უნდა ჰქონდეს ყოველ ბავშვს!

ისღა დაგვრჩენია, ყველა ბავშვს მივუღოცოთ ეს დღე და ბედნიერი ბავშვობა ვუსურვოთ!

მაია გერგაია

ჩვენი ისტორია ჩვენივე ეზოდან იწყება

„წარსულისადმი ნდობა, პატივი თუ შენში მაინც ელვარებს, მიხვდები ასე ანდამატივით, რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს"-ამბობს თბილისის ტრუბადურად წოდებული, საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი.

ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ქალაქის, ჩვენი სოფლის ისტორიისადმი პატივისცემა და დაფასება თითოეული ადამიანის საშური საქმეა. ჩვენი ისტორია, ხომ ჩვენი ეზოდან, ჩვენი ქუჩიდან თუ თემშარიდან იწყება, ამიტომაც უპირველესი ყურადღება და პატივისცემა გვმართებს მისი წარსულისადმი, რომ იმედიანად შევხაროდეთ მომავალს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ამ მიმართულებით ფასდაუდებელ საქმიანობას ეწევა, ცალკეული ქალაქისა თუ სოფლების ხელმძღვანელობასთან, სასკოლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად გაწეული დიდი საქმიანობის შედეგად შექმნილია თითქმის ყველა სოფლის ისტორიის ამსახველი მასალები, რომელიც შესულია მუზეუმის ფონდში.

ჩვენი კუთხის ყველა სოფლის თუ ქალაქის წარსული საქართველოს ისტორიის ჩრდილში განიხილება, ამავე დროს ყოფით კულტურაში არის მსგავსებაც და განსხვავებაც.

მუზეუმების საერთაშორისო დღის (18მაისი) აღნიშვნასთან დაკავშირებული ჩვენი სამოქმედო თემიდან(მუზეუმები, როგორც კულტურული ჰაბები, ტრადიციის მომავალი) გამომდინარე მუზეუმი კვირეულის დღეებში იყო სხვადასხვა აქტივობების ცენტრი.

უშაფათის წარსულსა და თანამედროვეობაზე მასალების მოსაკვლევად შეიქმნა ჯგუფი: უშაფათის საჯარო სკოლის დირექტორის პაატა გაბელიას, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მადონა ბოკუჩავას, მუზეუმის ფონდების მცველის გრიალა ანთიას, მეცნიერ-მუშაკის მაია ლაშქარავას შემადგენლობით. საველე-საძიებო მუშაობაში ჩართულები იყვნენ მოსწავლეები. დაფიქსირებულ იქნა სოფლის მნიშვნელოვანი ადგილები, ჰქონდათ შეხვედრები უხუცესებთან, ჩაწერილ იქნა ხალხური ანდაზები, მედიცინა.

მოკვლეული მასალები აეწყო თემატურად, შექმნა სლაიდები, რომელთა პრეზენტაცია მოეწყო მუზეუმში მიმდინარე წლის 13 მაისს.

შესავალი სიტყვით გამოვიდა მუზეუმის სპეციალისტი დამირ კუჭავა.კვლევითი მუშაობის შედეგებზე ისაუბრა გრიალა ანთიამ. ესწრებოდნენ მერიისა და კულტურის ცენტრის წარმომადგენლები, უშაფათის სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.

„მაღალ მთებში შეყუჯული სოფელი უშაფათი" ასე იწყებს თავის ერთ-ერთ მოთხრობას კონსტანტინე გამსახურდია.

დამსწრეთა წინაშე წარსდგნენ უშაფათის საჯარო სკოლის მოოსწავლეები, რომლებმაც გაგვაცნეს სოფელი.

ქრისტინე კუჭავამ და ლედი გოგინავამ ისაუბრეს სოფლის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ფლორასა და ფაუნაზე.. ნაჩვენები იქნა ნაწყვეტი ფილმიდან „მამლუქი", როიმელიც სოფლის მიდამოებშია გადაღებული.

მარიამ ლომაიამ და თაკო სიჭინავამ გაგვაცნო სოფელში ჩაის პლანტაციის გაშენებისა და ჩაის ფაბრიკის დაფუძნების ისტორია, სამწუხაროდ დღეს ჩაი ამოძირკვულია და ჩაის ფაბრიკა აღარ ფუნქციონირებს.

ნაჩვენები იქნა ვიდეო „სტუმრად სოფლის უხუცესთან-ბონდო შეროზიასთან".

განათლების კერების ჩამოყალიბება და ამ დარგში მომუშავე ღვაწლმოსილი ადამიანები გაგვაცნო ქრისტინე კუჭავამ.

თემურ ელიავას ლექსი „დიალოგი ღმერთთან" წაიკითხეს ხატია გოგინავამ და თაკო სიჭინავამ.

ლედი გოგინავას თქმით სოფელში ხუთი ეკლესია ყოფილა, დღეს მხოლოდ ნაეკლესიარი ადგილებია.

გამოჩენილ ადამიანებზე, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულებზე ისაუბრეს თაკო სიჭინავამ და მარიამ ლომაიამ.

ლექსით „ ჩქი ჯვეშ კოლხეფიშ ვორეთ გიმნარყი"-ერთვება მარი კუჭავა.

სოფელში მიმობნეული ანდაზები, ხალხური მედიცინა ჩაიწერეს და ჩვენამდე მოიტანეს მარიამ და ხატია ლომაიებმა.

დასასრულს ცეკვა „ხევსურული" შეასრულეს მეგი გაბელიამ და მარი ბოკუჩავამ.

ძველ წყაროებზე დაყრდნობით მწერალმა ბედის დავითაიამ გაგვაცნო უშაფათში ადრე მოქმედ ეკლესიებში მომსახურე მღვდლების ბიოგრაფიული მონაცემები.

ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ ჩვენი კუთხის ამსახველი მასალების შეგროვებასა და დამუშავებას, რაშიც თითოეული სენაკელის აქტიურ დახმარებას ველით, რათა ჩვენს მომავალ თაობას დარჩეს მისი ქალაქის თუ სოფლის განვლილი ისტორიის უტყუარი და ნათელი სახე.

დამირ კუჭავა

მზე ჩრდილოეთიდან ამოდის?

ამ სიტყვებს საბჭოთა პერიოდში კითხვის ნიშანი არ სჭირდებოდა. კითხვა, რომელიც საუკუნეებია აწვალებს ქართველ ხალხს გეორგიევსკის ტრაქტატისადმი დამოკიდებულებაა.

„გეორგიევსკის ტრაქტატი, საქართველოს ანექსირება"-ასეთი იყო ღია გაკვეთილის თემა, რომელიც 17 მაისს, ქ. სენაკის № 2 საჯარო სკოლის (დირექტორი დემნა ჭანტურია) IX კლასის მოსწავლეებთან მუზეუმში ჩაატარა ისტორიის მასწავლებელმა ლუიზა მეფარიძემ.

ქალბატონ ლუიზას წლების ურთიერთობა აკავშირებს მუზეუმთან. მოსწავლე-ახალგაზრდობა ჩვენი პროექტების აქტიური თანამონაწილეა.

გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეებისათვის საქართველოს ისტორიის დრამატიზმით აღსავსე პერიოდის გაცნობა.

გაკვეთილი მიმდინარეობდა ჯგუფური მუშაობის სტილში, ჰქონდათ მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები, წინასწარ მომზადებული სლაიდ-შოუ ფრაგმენტი ფილმიდან „წიგნი ფიცისა"-ტრაქტატის დადების მომენტი.

გაკვეთილის I ნაწილს „1789 წლის ტრაქტატი" უძღვებოდნენ ამავე სკოლის მოსწავლეები: ელენე ხუხია და ნინო მალანია.

ახალ მასალაზე -„საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ"მუშაობისას მოსწავლეები თანამშრომლობდნენ მასწავლებელთან, ამჟღავნებდნენ წინა მასალის ღრმა ცოდნას.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს მდიდარი წერილობითი მასალა, რომელიც ადასტურებდა ქართველი ხალხის შეურიგებელ ბრძოლას რუსული აგრესიისადმი. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ მუზეუმში დაცულ მასალებს, რომელშიც ასახულია საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საწინააღმდეგო გამოსვლები სენაკში.

მთელი საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები ცდილობდნენ დამსწრე საზოგადოებისაგან მიეღო პასუხი კითხვაზე: რამდენად სწორი იყო გეორგიევსკის ტრაქტატის დადება რუსეთთან.

მუზეუმის სპეციალისტმა დამირ კუჭავამ გამოხატა თავის აზრი გეორგიევსკის ტრაქტატის მიმართ. თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა ღირსეულ პედაგოგს, ქალბატონ ლუიზას და მის მოსწავლეებს .ერთად წარმატებები უსურვა. აღნიშნა, რომ მუზეუმი არის ის სივრცე, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობას შეუძლია გამოავლინოს თავიანთი უნარები.

ბავშვებს მიეცათ დავალება დაეწერათ ესსე „საქართველო –რუსეთის მომავალ ურთიერთობაზე". ამავე სკოლის მოსწავლემ ვიქტორია გაბუნიამ თავისი სამომავლო ფიქრები ნახატზე შესრულებული მშვიდობის მტრედით, ევროკავშირისა და ნატოს ემბლემით გადმოგვცა.

გრიალა მირგატია,
ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი

სპორტი

ძიუდო

2019 წლის 8-9 ივნისს ქ. თბილისში ჩატარდა მე-4 საერთაშორისო ტურნირი 2005-2006 და 2007-2009 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის ძიუდოისტები. ალექსი გულუამ (27კგ.წ/კ) დაიკავა I ადგილი, ილია გარუჩავამ (30კგ.წ/კ)- @II ადგილი, ხოლო საბა ფარულავა (34კგ.წ/კ) III ადგილზე გავიდა.

ვულოცავთ ძიუდოისტებს და მათ მწვრთნელს უჩა ჯღარკავას გამარვებას.

ირინა გაგუა,
სენაკის სასპორტო გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

სენაკელებს, გაზეთ „კოლხეთის" მკითხველებს!

მინდა შეგახსენოთ, რომ 2003 წელს გამოვიდა ჩემი პირველი წიგნი -- „მუსიკა არსი". მრავალმა სენაკელმა და არა მარტო მადლობა მითხრა ნაშრომისთვის, სადაც ასახულია ჩვენი ქალაქის უძველესი სახელოვნებო სკოლის 75 წლიანი ისტორია.

ამჟამად ვაგრძელებ მუშაობას. მეორე წიგნი „მუსიკა არსი" გამოვა წლის ბოლომდე. მოგმართავთ თხოვნით – შემოგვიერთდით მოგონებებით, სურვილებით, იშვიათი ფოტოებით, ჩემთვის თითოეული მოგონება ძვირფასია.

ვითანამშრომლოთ!

პატივისცემით

ლია ქობალავა
მუსიკათმცოდნე

სს „არქეოპოლისის" დამფუძნებელი დემურ გადელია, დირექტორი ნანა ზარანდია და შრომითი კოლექტივის წევრები მწუხარებით იუწყებიან კომპანიის თანამშრომლის, ენერგიული და კეთილსინდისიერი მუშაკის

გოჩა პირტახიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.
ტელ: 223779; 223711; 223499.